გიორგი გურჯიევი

ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის

ადამიანის ცხოვრების
ობიექტურ-მიუკერძოებელი კრიტიკა

ყველა და ყველაფერი / სერიის პირველი წიგნი

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

გამოცემულია სამ წიგნად: წიგნი III

მთარგმნელები: ვ. ნარიმანიძე, გ. ბერაძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მესამე გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7742-1 (სამივე წიგნის)
ISBN 978-9941-8-7745-2 (მესამე წიგნის)

სარჩევი

თავი XL. ბელზებელი ჰყვება, როგორ შეიტყვეს ადამიანებმა.....5
და კვლავ დაივიწყეს გეპტაპარაპარშინოხის ძირითადი.....5
კოსმოსური კანონის შესახებ.....5
თავი XLI. ბუხარელი დავრიში ჰაჯი ასვაც-ტრუვი.....62
თავი XLII. ბელზებელი ამერიკაში.....109
თავი XLIII. ბელზებელის მიერ ადამიანთა პერიოდული.....246
ურთიერთგანადგურების პროცესის მიმოხილვა, ანუ.....246
ბელზებელის აზრი ომის შესახებ.....246
თავი XLIV. ბელზებელის აზრით, ადამიანური წარმოდგენა.....310
სამართლიანობაზე, ობიექტური მნიშვნელობით,.....310
მისთვის წყეულ მირაჟს წარმოადგენს.....310
თავი XLV. ბელზებელის აზრით, ადამიანის მიერ ბუნებიდან.....337
ელექტროობის ამოღება და გამოყენების დროს მისი.....337
მოსპობა ადამიანის სიცოცხლის შემოკლების ერთ-ერთ.....337
მთავარ მიზეზს წარმოადგენს.....337
თავი XLVI. ბელზებელი შვილიშვილს უხსნის ადამიანის.....354
შესახებ ინფორმაციის გადმოცემის მის მიერ ამორჩეული.....354
ფორმისა და თანამიმდევრობის მნიშვნელობას.....354
თავი XLVII. მიუკერძოებელი აზროვნების გარდაუვალი შედეგი.....367
თავი XLVIII. ავტორისაგან.....378

ლექცია პირველი

ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების.....384
კანონზომიერი მრავალფეროვნება.....384
დამატება.....415

გამომცემლობის მიერ გამოცემული გიორგი გურჯიევის წიგნები.....437

თავი XL
ბელზებელი ჰყვება, როგორ შეიტყვეს ადამიანებმა და კვლავ დაივიწყეს გეპტაპარაპარშინოხის ძირითადი კოსმოსური კანონის შესახებ

მას შემდეგ როცა ბელზებელმა მოისმინა ის, რაც მისთვის მიცემულ „ლეიტუჩანბროსში“ იყო გადმოცემული, შვილიშვილმა უთხრა მას:

— ჩემო ძვირფასო და კეთილო ბაბუა! დამეხმარე, თუ შეიძლება, გამარკვიე ერთ წინააღმდეგობაში, რომელიც არ მესმის და რომელიც ჩემს ლოგიკურ შედარებებს არ ეთანხმება.

როცა წმინდა პლანეტა განსაწმენდელის შესახებ ახსნები დაიწყე, მითხარი, რომ ჩავწვდომოდი იმ ყველაფერს, რაზედაც შენ ლაპარაკობდი რაიმეს გამოუტოვებლად, და ასევე მუდამ მეუბნებოდი, ყოველთვის ინტენსიურ დაძაბულობაში მქონოდა ჩემი „აქტიური აზროვნება“ ისე, რომ ჩემში სრულად ყოფილიყო კრისტალიზებული შესაბამისი მონაცემები იმ გაგების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც დაკავშირებულია საკითხებთან, რომლებიც ორივე ძირითადი თავდაპირველი კოსმოსური კანონის წვრილმანებს განმარტავს. შენი ახსნების მთელი დროის განმავლობაში ნამდვილად ვცდილობდი ამის კეთებას, და, როგორც მე მგონია, ამ კოსმოსური კანონების შესახებ ბევრი რამ გავარკვიე, ასე რომ, ალბათ, თავისუფლად შემიძლია ვინმე სხვას ავუხსნა ისინი.

ყოველ შემთხვევაში, უკვე ძალიან კარგად შემიძლია წარმოვიდგინო ტრიამაზიკამნოს წმინდა კანონი მისი სამივე წმინდა დამო-

უკიდებელი ძალის თავისებურებებით და ჩავწვდე მას ჩემი პირადი არსისთვის სავსებით დამაკმაყოფილებლად; მაგრამ, რაც შეეხება გეპტაპარაპარშინოხის წმინდა კანონს, თუმც ჩემი გონებით მთლიანად ვერ გავარკვიე ზოგიერთი მისი, ჩემი აზრით, ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალი, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ ოდნავ უფრო აქტიური ფიქრის დახმარებით გავიგებ მას.

ახლა, მას შემდეგ, რაც მე (ამ წმინდა კანონების კარგად შეთვისების მცდელობით) ცხადად ვიგრძენი და გავაცნობიერე, რომ ისინი ძალიან რთულია და საერთოდ „სრული გაგებისთვის“ ძალიან ძნელია, მოულოდნელად გამაოცა (და განაგრძობს გაოცებასა და დაინტერესებას), პლანეტა დედამიწაზე წარმოშობილმა და არსებულმა სამტვინიანმა არსებებმა როგორ შეძლეს ამ წმინდა კოსმოსური კანონების არა მარტო გაგება, არამედ მათი კონსტატაციაც გარემომცველ კოსმოსურ შედეგებს შორის, იმიტომ რომ შენი თხრობებიდან მათ შესახებ სრული შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იქ, მეორე ტრანსაპალური პერტურბაციის დროიდან, როცა ყოველი მათი ახლად წარმოქმნილი შედეგი პასუხისმგებელი არსება ხდება, არანორმალური ოსკიანოს სიჭარბის გამო იგი მხოლოდ „*მექანიკური გონების*“ მფლობელი ხდება.

აი, ასეთი გონებით რომ შეუძლებელია ორივე ამ წმინდა კოსმოსური კანონის გაგება, მე მთელი ჩემი არსებით მაშინ დავრწმუნდი, როცა თვითონ ვცდილობდი მათ გაგებას.

ეს რომ თქვა, ჰუსეინმა კითხვითი და გამომცდელი მზერა მიაპყრო თავის საყვარელ ბაბუას.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ბელზებელმა საუბარი ასეთი სახით დაიწყო:

– კარგი, ჩემო ბიჭუნა, ვეცდები ეს ბუნებრივი გაოცებაც განგიმარტო, რომელიც სამართლიანად გაგიჩნდა.

მგონია, რომ ერთხელ უკვე გითხარი, რომ, თუმც შენ მიერ ნახსენები დროიდან ამ პლანეტაზე თითქმის ყველა სამტვინიანი არსება გახდა (ჩვეულებრივი *ყოფიერებითი არსებობის* დამყარებული არანორმალური პირობების გამო) მხოლოდ *მექანიკური გონების*

მფლობელი, მაგრამ მაინც, ზოგჯერ იქ ისე ხდება, რომ ზოგი მათგანი შემთხვევით გაექცევა ხოლმე ამ საერთო ხვედრს, და *მექანიკური გონების* ნაცვლად, რომელიც იქ ჩვეულებრივი გახდა, ზოგიერთ მათგანში ნამდვილი ობიექტური „*ყოფიერებითი გონება*“ ყალიბდება, როგორც ეს ჩვენი დიადი „მეგალოკოსმოსის“ სამტვინიან არსებებში ხდება.

თუმც ასეთი გამონაკლისები, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეებში, ძალიან იშვიათია იქ, მაგრამ, ვიმეორებ, მაინც არის.

იმისათვის, რომ დაახლოებით წარმოიდგინო და გაიგო, როგორ შეიძლება ხდებოდეს მათში ასეთი გამონაკლისები, უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდე, რომ, იმის მიუხედავად, რომ იმ დროიდან, როცა მათში ორგანო კუნდაბუფერის თვისებების წარმოდგენებმა კრისტალიზება დაიწყო, მათთვის დამახასიათებელი გახდა, რომ მათ ბუნებრივი არსებობის დროს *მექანიკური გონება* ჰქონდეთ, და მაინც, ყოველთვის, დღემდე, ყოველი მათგანის წარმოშობისა და ჩამოყალიბების დროს მათ თანდასწრებებში ყოველთვის არის შესაძლებლობების ჩანასახები შესაბამისი *ყოფიერებითი მონაცემების* კრისტალიზაციისთვის, პასუხისმგებელ არსებებად მათი ჩამოყალიბების დასრულების განმავლობაში, რომელ მონაცემებსაც, მოგვიანებით, საპასუხისმგებლო არსებობის დროს, შეეძლებოდა ობიექტური გონების გაჩენასა და ფუნქციონირებაში თავისი წვლილი შეეტანა, რომელი გონებაც უნდა იყოს ყოველგვარი ბუნებისა და გარეშე ფორმის მქონე სამტვინიან არსებათა საერთო თანდასწრებებში და რომელიც თვითონ თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა, ასე ვთქვათ, „*ღვთაების თვით არსის წარმომადგენელი*“.

მათი, ობიექტური მნიშვნელობით, უკიდურესი უბედურება (რომელშიაც შენ უკვე „*გაოცებით ინსტინქტურად ეჭვი გაქვს*“, როგორც შენი შეკითხვის ფორმულირებიდან ვხედავ, განსაკუთრებით ოსკიანოს შესახებ შენი ხსენებიდან) სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, აქვთ რა ნამდვილად თავიანთი წარმოშობის დროიდან ასევე შესაძლებლობები, დედის მუცლიდან განცალკევების პირველივე დღეებიდან მაშინვე ხვდებიან (მხოლოდ იმ არანორმალურობების

გამო, რომლებიც მათი გარემომცველი იმ არსებების ჩვეულებრივი *ყოფიერებითი არსებობის* პროცესში დამყარდა, რომლებმაც საპასუხისმგებლო ასაკს უკვე მიაღწიეს) იმ დამღუპველი საშუალებების დაჟინებული გავლენის ქვეშ, რომლებიც თვითონვე თავიანთთვის მოიგონეს, და რომლებიც, როგორც უკვე გითხარი, წარმოადგენს რაღაც ოსკიანოს მსგავსს, რომელსაც ისინი „აღზრდას“ უწოდებენ.

და, შესაბამისად, ამ საცოდავ, ასე ვთქვათ, „*ჯერ კიდევ სრულიად უდანაშაულო*“ კვლავ წარმოშობილ არსებებში, მათი, რასაც ჰქვია, „მოსამზადებელი ასაკის“ განმავლობაში თანდათან ასეთი სახით ატროფირდება და ბოლოს და ბოლოს ქრება ყველა შესაძლებლობა იმ ყველაფრის თავისუფალი ჩამოყალიბებისთვის, რაც ობიექტური *ყოფიერებითი გონების* გაჩენისთვის არის აუცილებელი, და შედეგად, როდესაც ეს ახლად გაჩენილი არსებები მოგვიანებით პასუხისმგებელი არსებები ხდებიან, თავიანთ, ასე ვთქვათ, „*სიმძიმის პირველსაწყისურ ცენტრში*“ არა მარტო ობიექტური გონების მფლობელები ხდებიან, რომელიც მათ უნდა ჰქონდეთ, არამედ მექანიკურად აღქმული ხელოვნური, მომატყუებელიც კი, შთაბეჭდილებების იმ უცნაური ერთობლიობის მფლობელებიც ხდებიან, რომლებიც, არა აქვთ რა არაფერი საერთო მათი *გასულიერებული ყოფიერებითი ნაწილების* ლოკალიზაციასთან, მაინც მათი საერთო თანდასწრების ცალკეულ ფუნქციონირებებთან კავშირს იძენენ. ამის გამო არა მარტო მათი არსებობის მთელი პროცესი მიმდინარეობს მექანიკურად, არამედ ასევე მათი პლანეტური სხეულის ფუნქციონირების თითქმის მთელი პროცესი დამოკიდებული ხდება მხოლოდ შემთხვევით, მექანიკურად აღსაქმელ გარეშე შთაბეჭდილებებზე.

ძალიან ბევრ შემთხვევაში შენი საყვარელი არსებებიდან ზოგიერთები, რომლებმაც საპასუხისმგებლო ასაკს მიაღწიეს, ჭეშმარიტი *სუფთა გონების* მფლობელები ხდებიან, რომელი გონებაც პასუხისმგებელ სამტვინიან არსებებს შეეფერება. ეს იქ ჩვეულებრივად ასე ხდება. მაგალითად, ხდება, რომ დედის მუცლისგან განცალკევების შემდეგ მაშინვე ახლახან გაჩენილი ერთ-ერთი არსება შემდგომი ჩამოყალიბების პროცესში ისეთ გარემომცველ პირობებში

აღმოჩნდება, რომლებშიც, ამა თუ იმ მიზეზით, ყოველგვარი არანორმალურობა (რომლითაც უკვე გადავსებულია გარეშე *ყოფიერებითი არსებობის* მთელი პროცესი სამტვინიანი არსებებისა, რომლებიც ამ საცოდავ პლანეტაზე მრავლდებიან) მას არ ეხება და არ ახდენს მასზე მექანიკურ მავნე გავლენას, და ამის გამო მასში არსებული *სუფთა გონების* შეძენის შესაძლებლობათა ჩანასახები მისი შემდგომი ჩამოყალიბების პროცესის განმავლობაში ვერ ასწრებენ ძირამდე ატროფირებას. და შემდეგ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ასეთი სამტვინიანი არსების შემდგომი ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ახლახან გაჩნდა ხსენებულ შედარებით ნორმალურ პირობებში, მისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, მისი საპასუხისმგებლო არსებობისთვის მოსამზადებელი ასაკის განმავლობაში, ისეთი სამტვინიანი არსება ხდება, რომელიც, მანამდე, რა თქმა უნდა, ასევე შემთხვევით, უკვე ასეთივე სახით სრულად ჩამოყალიბდა და რომლის მღვიძარე ცნობიერების ფუნქციონირებაში (მის თანდასწრებაში *ყოფიერებითი პარტკდოლგ-ვალდებულების* ხშირი რეალიზაციის წყალობით) მონაწილეობდა მის ქვეცნობიერებაში გადარჩენილი მონაცემები „სინდისის“ ღვთაებრივი იმპულსის წარმოშობისთვის.

და აი, ეს ხელმძღვანელი, მთელი თავის არსებით აცნობიერებს რა ამ პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, რომელი პასუხისმგებლობაც თავის თავზე აიღო ამ ახალი არსების მიმართ (რომელმაც ხსენებული სახით ჯერ მხოლოდ მოსამზადებელ ასაკს მიაღწია), ნამუსიანად იწყებს მიუკერძოებლად მისი ოსკიანოსთვის ყოველგვარი ე.წ. „*შიდა და გარეშე ფაქტორის*“ შექმნას შესაბამისი შთაბეჭდილებების აღქმისთვის, რომ მის საერთო თანდასწრებაში ყველა იმ მონაცემის კრისტალიზაცია მოახდინოს, რომელთა ერთობლიობასაც შეუძლია საპასუხისმგებლო ასაკს მიღწეულ სამტვინიან არსებას მისცეს ძალა იმისათვის, რომ იყოს „სვოლიბრუნოლური“, ანუ, როგორც შენი საყვარელი არსებები იტყოდნენ იქ, დედამიწაზე, „*ძალას, რომ არ გაიგივდეს გარეშესთან და არ იყოს მისი ზეგავლენის ქვეშ თავისი გარდაუვალად დამახასიათებელი ვნებების მეშვეობით*“; და ამ მონაცემების მიერ წარმოშობილ მხოლოდ ამ

ყოფიერებით იმპულსს შეუძლია დაეხმაროს მას, რომ შეიძინოს იმ ჭეშმარიტი მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი კონსტატაციის შესაძლებლობა, რომლებიც მის გარემომცველ კოსმოსურ შედეგებში ვლინდება.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ჩვენი „მეგალოკოსმოსის“ უმრავლეს პლანეტაზე, რომლებზედაც სამტვინიანი არსებები ჩნდებიან და არსებობენ, არის ხშირად განმეორებადი გამოხატვა, რომელიც შემდეგი სიტყვებით ყალიბდება:

მისი უსასრულობა საერთო მამა მხოლოდ სამტვინიანი არსების შემქმნელს წარმოადგენს. თუმცა მისი არსის ჭეშმარიტი შემქმნელი და მისი მოსამზადებელი არსებობის პერიოდი არის მისი „ოსკიანოცნერი“, ანუ ის, ვისაც შენი საყვარელი არსებები დამრიგებელს ანუ მასწავლებელს უწოდებენ.

და აი, სწორედ ბოლო საუკუნეში ხდებოდა ზოგჯერ ისე, რომ ზოგიერთი შენი საყვარელი არსება, საპასუხისმგებლო ასაკს უკვე მიღწეული, სრულად ჩამოყალიბებული და დალაგებული სახით გარეშე აღქმებისთვის მომზადებული, რომელმაც მის გარემომცველ კოსმოსურ შედეგებს შორის შემთხვევით დააწესა ზოგიერთი კანონზომიერი თავისებურება, მის დაწვრილებით და ყოველმხრივ შესწავლას იწყებდა და, იგებდა რა ბოლოს (დიდი ხნის შეუპოვარი შრომის შემდეგ) ამა თუ იმ ობიექტურ ჭეშმარიტებას, გარემომცველ მის მსგავს არსებებს უზიარებდა მას.

ახლა, ჩემო ბიჭუნა, მომისმინე, ამ თავისებურმა სამტვინიანმა არსებებმა როგორ გაიგეს პირველად წმინდა გეპტაპარაპარშინოხის ეს ძირითადი კოსმოსური კანონი და როგორ გაჩნდა იქ ერთობლიობა მთელი ინფორმაციისა მისი სხვადასხვა დეტალის შესახებ, რომელ დეტალებსაც გულმოდგინედ იმეცნებდნენ წინამავალი არსებები, და ამ პლანეტის შემდგომ სამტვინიან არსებებს გადასცემდნენ, რამაც ამ ინფორმაციის შეცნობის შესაძლებლობა შექმნა. ასევე მისმინე, ამ ყველაფრისგან როდის და რა გამოვიდა იქ – მათი ფსიქეის იმავე უცნაურობის გამო.

გამომცემლობის მიერ გამოცემული
გიორგი გურჯიევის წიგნები

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“